
სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

კერძო და საჯარო ინტერესების ბალანსი საკანონმდებლო საქმიანობისას

ნათია წაქვლაძე*

სააპელაციო სასამართლომ 2000 წლის 16 მაისს გააუქმა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება და განხილულ საქმეზე მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თბილისის რეგიონული საბაჟოს სარჩელი არ დააკმაყოფილა და მოპასუხე გათავისუფლდა მოსარჩელის 1999 წლის 21 სექტემბრის აქტით მასზე დაკისრებული თანხის – 920.31 ლარის – გადახდისაგან.

1. საქმის გარემოებანი

სარჩელის საგანი იყო მოპასუხისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი თანხის – 920.31 ლარის – გადახდის დაკისრება, ხოლო საფუძველი – იმპორტირებული ავტომანქანის განბაჟებისას შეცდომით დარიცხული გადასახადის – 177.85 ლარის – ნაცვლად მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ოდენობის – 1098.16 ლარის – დარიცხვა. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა, არ დაკმაყოფილებულიყო იგი, რამდენადაც მიიჩნია, რომ მის მიმართ არ უნდა გავრცელებულიყო 1999 წლის 23 ივლისს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილება-დამატებანი.

გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხეს დაეკისრა ბიუჯეტის სასარგებლოდ 920.30 ლარის გადახდა, რაც რაიონული სასამართლოს მიერ მოტივირდა შემდეგნაირად: 1999 წლის 23 ივლისს კანონი საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომლითაც ავტომანქანების საბაჟო გაფორმებისათვის დაწესდა 20%-იანი დამატებითი ღირებულების გადასახადი, გამოქვეყნდა ჟურნალ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ 1999 წლის 4 აგვისტოს; სასამართლომ მიიჩნია, რომ დაცულ იქნა „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 38.6 მუხლის მოთხოვნა, ხოლო, რამდენადაც, ამავე კანონის 45.1 მუხლის თანახმად, საკანონმდებლო ცვლილება ძალაში შევიდა 1999 წლის 5 აგვისტოდან, მისი შესრულება სავალდებულო იყო კანონის ძალაში შესვლის თარიღიდან. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის არგუმენტი თავად საბაჟო ორგანოთა მოხელეების მიერ კანონის არცოდნის თაობაზე და მიუთითა, რომ, სამოქალაქო კოდექსის 3.2 მუხლის თანახმად, კანონის არცოდნა არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის საფუძველი.

მოპასუხემ მითითებული გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო წესით. მან მოითხოვა აქტის, როგორც უსაფუძვლოსა და უკანონოს, გაუქმება და სააპელაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი მოტივით: მას, როგორც (უბრალო) მოქალაქეს, შეუძლებელია სცოდნოდა ჟურნალ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ 1999 წლის 4 აგვისტოს გამოქვეყნებული კანონის შესახებ, მით უფრო, როცა ეს ცნობილი არ იყო თავად საბაჟოს თანამშრომელთათვის. საბაჟო მოხელეთაგან იგი არავის გაუფრთხილებია გაზრდილი გადასახადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოპასუხე არ განაბაჟებდა

* თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის თავმჯდომარე.

ავტომანქანას. აპელანტმა მიიჩნია, რომ ჟურნალი „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ ვერ უზრუნველყოფს კანონის საყოველთაო გაცნობას მოქალაქეთა დიდი უმრავლესობისათვის, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლით, ამდენად, გაზრდილი გადასახადი მის მიმართ არ უნდა გავრცელდეს.

მონინალმდევე მხარემ – თბილისის რეგიონულმა საბაჟომ – აპელაციის მოტივები არ გაიზიარა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების, როგორც კანონიერის, უცვლელად დატოვება, რადგან საკანონმდებლო ცვლილების გამო, რომელიც გამოქვეყნდა 1999 წლის 4 აგვისტოს და მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ძალაში შევიდა 24 საათის შემდეგ, ე.ი. ამოქმედდა 1999 წლის 5 აგვისტოდან, მოპასუხეს გადასახდელად უნდა დარიცხოდა არა 177.85 ლარი, არამედ 1 098.16 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ განიხილა რა საქმის მასალები, მხარეთა განმარტებების მოსმენის შედეგად გამოარკვია: 1999 წლის 5 აგვისტოს მოპასუხემ თბილისის რეგიონულ საბაჟოში განაბაჟა კუთვნილი ავტომანქანა და მას სხადასხვა გადასახდელის სახით ჯამში დაერიცხა 177.85 ლარი. 1999 წლის 21 სექტემბერს საბაჟოს შესაბამისმა სამსახურებმა შედგენილი აქტის მიხედვით შეამოწმეს მოპასუხის სახელზე საქართველოში შემოყვანილი ავტომანქანის გადასახადებისა და მოსაკრებლების დარიცხვის სისწორე, დაადგინეს, რომ მოქმედი კანონმდებლობით მას მანქანის განბაჟებისათვის უნდა დარიცხოდა 1 098.16 ლარი, რაც უნდა გადახდილიყო 3 დღის ვადაში და რაც მოპასუხეს არ შეუსრულებია.

სააპელაციო სასამართლო სააპელაციო საჩივრის მოტივების შესწავლით, საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების გაანალიზებისა და საქმის სასამართლო განხილვით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აპელანტის მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს; გასაჩივრებული გადაწყვეტილება, როგორც კანონსაწინააღმდეგო, უნდა გაუქმდეს და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს და მოპასუხე გათავისუფლდეს თბილისის რეგიონული საბაჟოს 1999 წლის 21 სექტემბრის აქტით მასზე დაკისრებული თანხის – 920.31 ლარის – გადახდის ვალდებულებისაგან შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას რაიონული სასამართლოს მიერ დარღვეულია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები: სასამართლომ არ დაიცვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 „ა“ მუხლის მოთხოვნა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა 1996 წლის 29 ოქტომბრის „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 28-ე, 36-ე, 45.3, 51-ე მუხლები.

2. სააპელაციო სასამართლოს მოტივაცია

1999 წლის 23 ივლისის კანონით ცვლილებები შევიდა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, მათ შორის კოდექსის დასკვნითი და გარდამავალი დებულებების თავში, კერძოდ, 271.2 მუხლის დ პუნქტში, რომელიც შემდეგი რედაქციით იყო ფორმულირებული: „112-ე და 130-ე მუხლები მსუბუქი ავტომობილების იმპორტის დაბეგვრასთან დაკავშირებით – ამოქმედდეს 2000 წლის 1 იანვრიდან“, ცვლილების შედეგად სიტყვები – „112-ე და 130-ე მუხლები“ შეიცვალა სიტყვებით – „130-ე მუხლი“.

საგადასახადო კოდექსის 112.1 მუხლი ადგენს დღგ-ის განაკვეთების ოდენობას, კერძოდ: „დღგ-ის განაკვეთი შეადგენს დასაბეგრი ბრუნვის ან დასაბეგრი იმპორტის თანხის 20%-ს“. აღნიშნული ნორმის ძალაში შესვლისათვის კანონმდებელმა დაადგინა განსაკუთრებული თარიღი – 2000 წლის 1 იანვარი, ხოლო კოდექსის 273-ე მუხლის (რომელიც ამ კოდექსის გარდამავალ დებულებებს შეიცავს) მე-2 ნაწილით განსაზღვრულია 2000 წლის 31 დეკემბრამდე, მსუბუქი ავტომობილების იმპორტის დროს იმპორტიორის გადასახდელი 2 სახის გადასახადი: ა) აქციზი 0.1 ლარის ოდენობით

იმპორტირებული ავტომობილის ძრავის მოცულობის ყოველ სმ³-ზე; ბ) დღე 5%-ის ოდენობით. 1999 წლის 24 დეკემბერს საგადასახადო კოდექსის 271.2 დ მუხლში სიტყვები – „2000 წლის 1 იანვრიდან“ შეიცვალა სიტყვებით – „2000 წლის 31 დეკემბრიდან“, ანუ, კოდექსის 112-ე მუხლის ძალაში შესვლამდე მსუბუქი ავტომობილების იმპორტის დროს იმპორტიორის გადასახდელი გადასახადი განისაზღვრა 273.2 მუხლით. აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილი 1999 წლის 25 ივნისის კანონით ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლითაც მეორე სახის გადასახადი – დღე 5%-ის ოდენობით ამოღებულ იქნა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 1999 წლის 25 ივნისის კანონი ძალაში შევიდა გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, 1999 წლის 19 ივლისიდან. შესაბამისად, ამ თარიღიდან მსუბუქი ავტომობილების იმპორტი დღე-ით არ იბეგრებოდა.

1996 წლის 29 ოქტომბრის „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 1-ლი მუხლის თანახმად, ეს კანონი განსაზღვრავს ნორმატიული აქტების მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის ზოგად წესებს. ამავე კანონის 2.3 მუხლში მოცემულია „ნორმატიული აქტის“ განსაზღვრება, რომ ეს არის უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს თანამდებობის პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს. ამავე კანონის 3.2 მუხლი იმპერატიულად ადგენს, რომ ნორმატიული აქტი უნდა იქნეს მიღებული (გამოცემული) კონსტიტუციით, ამ კანონით და მათ საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების დაცვით. ამავე კანონის 28.1 მუხლის თანახმად, კანონის მომზადების, მიღების, გამოქვეყნებისა და მოქმედების წესი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით და პარლამენტის რეგლამენტით, ხოლო 36-ე მუხლის მიხედვით, ნორმატიულ აქტში ცვლილების ან დამატების მომზადება, მიღება (გამოცემა) და ძალაში შესვლა ხდება იმ ნორმატიული აქტის მომზადების, მიღებისა (გამოცემის) და ამოქმედებისათვის დადგენილი წესით, რომელშიც შედის ეს ცვლილება ან დამატება

საგადასახადო კოდექსის 271.1 მუხლით განისაზღვრა ამ კოდექსის ამოქმედების წესი, კერძოდ, „კოდექსი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მუხლებისა და კარებისა“, რომლითაც დადგენილ იქნა შესაბამისი ნორმების გაცვლით გვიან ამოქმედება, მათ შორის: კოდექსის 271.2 „დ“ მუხლის თანახმად – 112-ე და 130-ე მუხლებისა. 271-ე მუხლში 1999 წლის 25 ივლისის კანონით შევიდა ცვლილება, რომელიც გამოქვეყნდა 4 აგვისტოს და რომლის ამოქმედება განისაზღვრა გამოქვეყნებისთანავე; აღნიშნული ცვლილებით კოდექსის 112-ე და 130-ე მუხლების ძალაში შესვლისთვის დადგენილი განსაკუთრებული თარიღი – 2000 წლის 1 იანვარი, შემდეგ კი 2000 წლის 31 დეკემბერი – დატოვებულ იქნა მხოლოდ 130-ე მუხლის მიმართ. შედეგად მივიღეთ კოდექსის 112-ე მუხლის 4 აგვისტოდან ძალაში შესვლა და ამოქმედება.

საქართველოს კონსტიტუციის 68.6 მუხლის თანახმად, კანონი ძალაში შედის მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, თუ სხვა ვადა არ არის დადგენილი. ეს დებულება ჩაიდო „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 42-ე მუხლშიც, რომლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკანონმდებლო აქტი ძალაში შედის მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, თუ თვითონ საკანონმდებლო აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი. „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 45.1 მუხლით დაშვებულია და განმარტებულია ნორმატიული აქტის გამოქვეყნებისთანავე ძალაში შესვლის მექანიზმი – ნორმატიული აქტი ძალაში შედის გამოქვეყნების დღეს, 24 სთ-ზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია, რომ ნორმატიული აქტით შეიძლება დადგენდეს ამ აქტის ცალკეული თავის ან მუხლის ძალაში შესვლის განსაკუთრებული თარიღი.

ამავე კანონის 45.3. მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო აქტი, რომელიც ადგენს ან ამძიმებს იურიდიულ პასუხისმგებლობას, ძალაში შედის არა უადრეს მე-15 დღისა მისი გამოქვეყნებიდან.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ნორმის დამკვიდრებით კანონმდებელი იცავს ნებისმიერ (ფიზიკურ თუ იურიდიულ) პირს იურიდიული პასუხისმგებლობის დამძიმებისაგან, როცა ადგენს, რომ ასეთი პასუხისმგებლობის შემცველი ნორმა არ შეიძლება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებიდან 15 დღეზე ადრე, ანუ პირს ეძლევა საშუალება, ინფორმირებული და მომზადებული შეხვედეს საკანონმდებლო სიახლეს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს იურიდიულ პასუხისმგებლობას, რასაც უცილობლად მოსდევს შესაბამისი სამართლებრივი შედეგი.

იურიდიული პასუხისმგებლობა არის სახელმწიფოს იძულება სამართლის მოთხოვნათა შესასრულებლად. იგი სოციალური პასუხისმგებლობის სახეა, რომელიც ყოველთვის დაკავშირებულია სახელმწიფოს შესაძლებლობასთან – გამოიყენოს იძულებითი ღონისძიება, რაც გამოხატული იქნება სამართლებრივი ნორმის სანქციით. სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ სამართლის ყველა დარგში არსებობს იურიდიული პასუხისმგებლობა, იგი არის სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო, ადმინისტრაციული, დისციპლინური, მატერიალური, საგადასახადო და სხვ.

საგადასახადო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, ფიზიკური ან იურიდიული პირი ვალდებულია გადაიხადოს ამ კოდექსით დაწესებული გადასახადები, რომელთა მიხედვითაც ეს პირი გადასახადის გადამხდელია.

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ გადასახადის გადამხდელის იურიდიული პასუხისმგებლობა დგება მაშინ, როცა იგი ვალდებულია გადაიხადოს გადასახადი, ანუ ეკისრება საგადასახადო ვალდებულება, რომლის შესრულების წესები დადგენილია საგადასახადო კოდექსის მე-3 თავში. კერძოდ, 30-ე მუხლის მიხედვით, საგადასახადო ვალდებულების შესრულება არის გადასახადის გადამხდელის ვალდებულება. მითითებული მუხლის მე-4 პუნქტით აკრძალულია გადასახადის გადამხდელის ან სხვა ვალდებული პირის მიერ საგადასახადო ვალდებულების შესრულებაზე ცალმხრივი უარის თქმა ან მისი შესრულების წესის ცალმხრივად შეცვლა, ხოლო მე-5 პუნქტი ადგენს პასუხისმგებლობის სახეს შემდეგი რედაქციით: პირი პასუხს აგებს საგადასახადო ვალდებულების შესრულებაზე მთელი თავისი კუთვნილი ქონებით. კონკრეტულ შემთხვევაში პირი საბაჟო გადასახადის გადამხდელი ხდება საქონლის საბაჟო გაფორმების მომენტისათვის.

საგადასახადო კოდექსის 91.3 მუხლის თანახმად, პირი, რომელიც ახორციელებს დასაბეგრ იმპორტს საქართველოში, ითვლება დღგ-ის გადამხდელად ამგვარ იმპორტზე. 1999 წლის 25 ივნისის კანონის საფუძველზე, საგადასახადო კოდექსის 273-ე მუხლში შეტანილი ცვლილებებით, მსუბუქი ავტომობილების იმპორტის დროს დღგ 5%-ის ოდენობით გადახდის ვალდებულება გაუქმდა „ბ“ პუნქტის ამოღების შედეგად, ანუ დღგ ნულოვანს გაუტოლდა, შესაბამისად, 1999 წლის 19 ივლისიდან მსუბუქი ავტომობილების იმპორტის დროს იმპორტიორი აქციზის გადასახადს იხდიდა, ხოლო დღგ-ის გადასახადიდან თავისუფალი იყო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ 1999 წლის 23 ივლისის კანონის ამ ნაწილში გამოქვეყნებისთანავე ამოქმედების დადგენისას გათვალისწინებული არ არის და, შესაბამისად, დარღვეულია „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 45.3 მუხლის მოთხოვნა, ვინაიდან საგადასახადო კოდექსის 112-ე მუხლის გამოქვეყნებისთანავე, დაუყოვნებლივ ამოქმედება ადგენს და, ამასთან, ამძიმებს გადამხდელის პასუხისმგებლობას გადასახადის გადახდისას, ვინაიდან 1999 წლის 19 ივლისიდან მსუბუქი ავტომობილების იმპორტირებისას დღგ-ს საერთოდ არ ახდევინებდნენ, 19 ივლისამდე მისი ოდენობა შეადგენდა 5%-ს; 112-ე მუხლი კი ადგენს დღგ-ის განაკვეთს 20%-ის ოდენობით, რაც

1999 წლის 23 ივლისის კანონით გავრცელდა მსუბუქი ავტომობილების იმპორტზეც და მოცემული დავის შემთხვევაში გამოიხატა აპელანტის საგადასახადო ვალდებულების 920.31 ლარით გაზრდით (ნაცვლად 177.85 ლარისა – 1 098.16 ლარი), ანუ სახეზეა ნორმატიული აქტით იურიდიული (საგადასახადო) პასუხისმგებლობის დადგენა და დამძიმება.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 51-ე მუხლით კი განსაზღვრულია, რომ დაუშვებელია ნორმატიული აქტის კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით მიღება (გამოცემა), რაც ნორმის იმპერატიული მოთხოვნაა და მითითებულია: თუ ნორმატიული აქტი მიღებულია ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით, ან დარღვეულია შესაბამისი ნორმატიული აქტის მიღებისა და ამოქმედებისათვის დადგენილი პროცედურა, მას არა აქვს იურიდიული ძალა და ბათილია.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული ნორმით კანონმდებელმა გაითვალისწინა მკაცრი შედეგი – ფაქტობრივად, მკვდარ ნორმად ჩათვალა სამართლებრივი აქტი ნორმატიული აქტის მიღებისა და ამოქმედებისათვის დადგენილი პროცედურების, ამ კანონის მოთხოვნების დარღვევისათვის, რითაც ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი დაიცვა მოულოდნელი საკანონმდებლო ნოვაციებისაგან, რამაც შეიძლება დაადგინოს ან დაამძიმოს მისი იურიდიული პასუხისმგებლობა და რაც სრულად შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს, რომლებშიც გამოიხატა საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნება, დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყოილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი.

სააპელაციო სასამართლომ მოცემული დავის განხილვისას იხელმძღვანელა კონსტიტუციის მე-6 და მე-7 მუხლების დებულებებით და გაითვალისწინა 1998 წლის „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ მე-8 მუხლის მოთხოვნა, რომ „ყოველ ადამიანს უფლება აქვს ეფექტურად აღიდგინოს კომპეტენტური ეროვნული სასამართლოებით უფლებები კონსტიტუციის ან კანონების მიერ მინიჭებული ძირითადი უფლებების დარღვევის შემთხვევაში“ და 1950 წლის ევროპის კონვენციის „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ მე-6 მუხლის დებულება, რომ „ყოველ ადამიანს უფლება აქვს მისი სამოქალაქო უფლებების და მოვალეობების განსაზღვრის... დროს ითხოვოს დამოუკიდებელი და მიუმხრობელი სასამართლოს მიერ საქმის სამართლიანად და საჯაროდ განხილვა“, „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 51.3 მუხლის შესაბამისად დავა გადაწყვიტა საერთო სასამართლოების უფლებამოსილების ფარგლებში და ჩათვალა, რომ მოპასუხის მიმართ მის მიერ 1999 წლის 5 აგვისტოს მსუბუქი ავტომანქანის განბაჟებისას 20%-იანი დღგ-ის დაკისრება უკანონოა და იგი უნდა გათავისუფლდეს რეგიონული საბაჟოს 1999 წლის 21 სექტემბრის აქტით მასზე დაკისრებული თანხის – 920.31 ლარის გადახდის ვალდებულებისაგან.

3. კომენტარი

მოცემულ ადმინისტრაციულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების მნიშვნელობა, ვფიქრობთ, შეიძლება შეფასდეს რამდენიმე ასპექტით:

ა) გადაწყვეტილებით მიღწეულია კანონიერებისა და სამართლიანობის პრინციპის სინთეზი: დაცული იქნა სოციალურად აქტიური მოქალაქის უფლება, რომელმაც სწორედ დარღვეული უფლების აღსადგენად მიმართა სასამართლოს, რადგან იგი მიიჩნია დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების განხორციელების გზით აღნიშნულის გარანტიად.

ბ) დავის ამგვარი გადაწყვეტისას სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონმდებელმა დაარღვია კერძო და საჯარო ინტერესების ბალანსი. სახელმწიფო შეზღუდულია მოქმედი კანონმდებლობით საჯარო

უფლებამოსილების განხორციელებისას, ხოლო სასამართლო არ არის მხოლოდ კონფლიქტის გადამწყვეტი ორგანო, მას აქვს სასამართლო კონტროლის ფუნქცია, რაც უზრუნველყოფს ხელისუფლების სხვა შტოების არამართლზომიერი ქმედებებისა და გადანყვეტილებების კანონით მკაცრად რეგლამენტირებულ ჩარჩოში მოქცევას, თანაზომიერების დაცვის აუცილებლობას.

გ) არასტაბილური კანონმდებლობის მიძიმე სოციალურ-ეკონომიკური შედეგები გადანყვეტილებაში ქრონოლოგიური სიზუსტითაა გადმოცემული. საკანონმდებლო ცვლილებები საგადასახადო კოდექსში ნათლად ასახავს დაბალ სამართლებრივ კულტურას, კანონშემოქმედების „ქართულ ტექნოლოგიას“, რაც აუცილებლად იქცევა ქვეყნის ეკონომიკური, სამართლებრივი თუ სოციალური განვითარების შემაფერხებელ წინაპირობად. მითითებული გადანყვეტილება ერთ-ერთი მექანიზმია, თავიდან იქნეს აცილებული არასწორი საკანონმდებლო პრაქტიკის დამკვიდრება, საკანონმდებლო ნოვაციების განხორციელებით ლამის ყოველთვის გადასხვავებული საკანონმდებლო (კონკრეტულ შემთხვევაში, საგადასახადო) რეჟიმის შექმნა, რაც აუცილებლად გაამძაფრებს უამისოდაც მწვავე სოციალურ-ეკონომიკურ ფონს.

წესრიგი სამართლის არსებობის შედეგია. კანონით გამოხატული სამართალი უნდა ითვალისწინებდეს და რაციონალურად ახამებდეს საჯარო და კერძო ინტერესებს. გადანყვეტილებით კერძო ინტერესი მიჩნეულ იქნა აღმატებული ღირებულების მქონედ, რადგან ნებისმიერ პირს უფლება აქვს, მომზადებული და ინფორმირებული შეხვდეს კანონს, რომლითაც დადგინდება ან დამძიმდება მისი იურიდიული პასუხისმგებლობა.

დ) გადანყვეტილების მიღების პერიოდისათვის კანონით არ იყო განსაზღვრული საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება ფორმალური საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების შესახებ. საინტერესოა, რომ ეს საკანონმდებლო ხარვეზი აღმოიფხვრა, რის შემდეგაც, ანალოგიურ შემთხვევაში, საერთო სასამართლოს აქვს შესაძლებლობა, საკონსტიტუციო წარდგინებით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს – შეაფასოს, დარღვეულია თუ არა ნორმატიული აქტის მიღების, მომზადების, გამოქვეყნების კანონით მკაცრად განსაზღვრული პროცედურა.